საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მემატლიასებრნი

მემატლიასებრნი (Muscicapidae), ფრინველების ოჯახი ბეღურასნაირთა რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 9–30 *სმ* აღწევს. ოჯახში 330-მდე სახეობაა. გავრცელებულია აღმ. ნახევარსფეროს ყველა კონტინენტზე, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. საქართველოში გვხვდება რუხი, ჭრელი, თეთრყელა და მცირე მემატლია (ყველა მობუდარია). მ. იკვებებიან მწერებითა და ობობებით, ზოგჯერ კენკრით. მავნე მწერების განადგურებით სარგებლობა მოაქვთ.